



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 135

2019 წლის 21 ნოემბერი

ქ. თბილისი

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N226/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, „2019 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 9 აგვისტოს N90 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1536067; 12.11.2019) შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამკიცდეს სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები:
- 2.

პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	სტუდენტის სტატუსი	საქართველოს უნივერსიტეტი
JFZ_19_03	ატმოსფერული რეაქციის მექანიზმების შესწავლა ნახშირბადის სტაბილური იზოტოპების მეშვეობით	დოქტორანტი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი


შემსრულებელი:

ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

-----  
----- /მარიამ იაშვილი/

შეთანხმებულია:

1. ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

-----  
----- /ეკატერინე ბუთლიაშვილი/

2. სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსი

-----  
----- /ქეთევან გაბიტაშვილი/

JFZ_19_02	სისმსივნეების ჰეტეროგენურობის მულტიმოდალური გამოკვლევა	დოქტორანტი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
JFZ_19_01	ოსმიუმისა და ირიდიუმის სამიზნე ობიექტების მომზადება 193nm PT წარმოებისთვის და რადიოქიმიური განცალკევების მეთოდების შემუშავება პროდუქტის იზოლაციისა და სამიზნე ობიექტის აღდგენის მიზნით	მაგისტრანტი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

3. გამარჯვებული პროექტის ავტორებმა არაუგვიანეს 2019 წლის 5 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) მოწვევის წერილის ორიგინალი;

ბ) საგრანტო პროექტი და ცენტრში განსახორციელებელი სამეცნიერო კვლევის გეგმის ორიგინალი;

გ) მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

დ) გრანტის მამიებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2019 წლის 15 დეკემბრისა.

5. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.

6. ბრძანება ძალაშია მხარეებისათვის გაცნობისთანავე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ნინო გაჩეჩილაძე



გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი